




საქართველოს ბიზნეს ასოციაცია



მოკლედ ეკონომიკაზე

ოქტომბერი, 2018



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

2018 წელს მშპ-ს რეალური ზრდა საგარეოდ 5.5% იქნება

2018 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მშპ) 19.3 მლრდ. ლარი შეადგინა, ხოლო მშპ-ის რეალურმა ზრდამ 5.4%.

პირველ ორ კვარტალში საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საგარეო ფაქტორებმა. სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა გარემომ პოზიტიურად იმოქმედა ექსპორტზე და ფულად გზავნილებზე. ასევე იმატა ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმაც. ამავდროულად, გაზრდილი იმპორტი შიდა მოხმარების ზრდაზე მიუთითებს.

აგვისტოში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კიდევ ერთხელ გაზარდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2018 წლისთვის და ის 5.5%-ზე დააფიქსირა. ანალოგიურად, 5.5%-ს ვარაუდობს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც (სსფ). თუმცა, აღნიშნულ პროგნოზებში არ არის გათვალისწინებული სესხების გაცემაზე დაწესებული ახალი რეგულაციები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს ერთობლივ მოთხოვნას და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპს.


ცხრილი 1: მთლიანი შიდა პროდუქტი

	I-II კვ. 2017*	I-II კვ. 2018*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. GEL)	17 528.3	19 318.6
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. USD)	7 003.2	7 838.7
მშპ ერთ სულზე (GEL)	4 701.8	5 179.8
მშპ ერთ სულზე (USD)	1 878.5	2 101.8
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	5.1%	5.4%

* წინასწარი მონაცემები
წყარო: საქსტატი


მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის მესამედი ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის სექტორებში იქმნება. 2018 წლის პირველ ნახევარში ვაჭრობამ მშპ-ის 14.5% შეადგინა. დამამუშავებელი მრეწველობა 9.0%-ს შეადგენს, ხოლო მშენებლობაზე 7.4% მოდის. აღნიშნულ პერიოდში რეალური ზრდა დაფიქსირდა თითქმის ყველა სექტორში. გამონაკლისია სოფლის მეურნეობა, რომელიც 2016 წლიდან მოყოლებული კლებულობს.

გრაფიკი 1: სექტორების რეალური წლიური ზრდა




* წინასწარი მონაცემები
წყარო: საქსტატი

გრაფიკი 2: მშპ-ის რეალური ზრდა საქართველოში



* წინასწარი შეფასება
წყარო: საქსტატი

გრაფიკი 3: მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა



* პროგნოზი
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მიმდინარე თვეში მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 2018-2019 წლებისათვის 3.9%-დან 3.7%-მდე შეამცირა. პროგნოზის გაუარესების მიზეზი ძირითადად აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაფუჭება სახელდება.

თურქეთში არსებული პოლიტიკური დაძაბულობები და მკვეთრად გაუარესებული ინვესტორთა განწყობა მნიშვნელოვნად აისახა ეკონომიკური ზრდის ტემპზე. სსფ-ის შეფასებით 2018 წელს თურქეთში 3.5%-იანი ზრდა იქნება. ხოლო 2019 წლისთვის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0.4%-მდე შემცირდება.

სსფ-ის პროგნოზით რუსეთში მიმდინარე წელს ეკონომიკის რეალური ზრდა 1.7% იქნება. ხოლო 2019-2020 წლებში 1.8%. რუსეთში ეკონომიკის გაჯანსაღებას ნავთობის ფასის მატება უწყობს ხელს. თუმცა, ნოემბერში მოსალოდნელი სანქციები სავარაუდოდ რუბლის გაუფასურებას გამოიწვევს.

აღნიშნული პროცესების ფონზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მომავალ წელს მშპ-ის 4.5%-იან რეალურ ზრდას პროგნოზირებს.

საქართველოში წლიური ინფლაციამ 2.7% შეადგინა


2018 წლის თებერვლიდან წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მის მიზნობრივ დონეზე (3%) დაბლა ნარჩუნდებოდა. სექტემბრის ბოლოს სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 2.7% შეადგინა.

ინფლაციის მაჩვენებლის დაბალ დონეზე შენარჩუნების საპასუხოდ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება დაიწყო – რეფინანსირების განაკვეთი 0.25 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ამჟამად 7.0%-ზე ნარჩუნდება.

მესამე კვარტალში ინფლაციის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი ტრანსპორტის ჯგუფმა შეიტანა. კერძოდ, პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაცია საგრძნობლად გაძვირდა. ეს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაძვირების შედეგად სანავის გაძვირებამ გამოიწვია.


საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით ინფლაციის მაჩვენებელი წლის ბოლომდე მიზნობრივ დონეზე დაბლა შენარჩუნდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით კი საქართველოში მიმდინარე წლის ბოლოს სამომხმარებლო ფასების ინფლაცია 2.8%, ხოლო მომავალ წელს 2.7% იქნება.

გრაფიკი 4: წლიური ინფლაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


გრაფიკი 5: სამომხმარებლო ფასების ცვლილება (ნლის საშუალო)



* პროცენტი
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

აღსანიშნავია, რომ თურქეთში სექტემბერში ინფლაციამ თითქმის 25% შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2003 წლის შემდეგ. თურქეთის ფინანსთა სამინისტრომ ინფლაციის მაღალ ტემპებთან გასამკლავებლად შეიმუშავა გეგმა. არსებული ინფორმაციით, აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს წლის ბოლომდე სამომხმარებლო კალათაში შემავალ საქონელზე ფასების შემცირებას; საპროცენტო განაკვეთის შემცირებას 1 აგვისტოს შემდეგ გაცემულ საბანკო სესხებზე; ელექტროენერჯისა და გაზის ფასები დროებით გაიყინვას; დღგ-ის დაბრუნების პროცესის დაჩქარებას და სხვა.

გრაფიკი 6: ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი ყველა ძირითადი ვალუტის მიმართ გაუფასურდა


აგვისტოში ლარის აშშ დოლარის მიმართ ნახტომისებური გაუფასურება ქვეყნის ძირითად სავაჭრო პარტნიორ – თურქეთში მიმდინარე მოვლენებით და ლირას მკვეთრი გაუფასურებით აიხსნა. გაუფასურების პროცესი კვლავ დაჩქარდა ოქტომბერში – მხოლოდ პირველი სამი კვირის განმავლობაში ლარი აშშ დოლარის მიმართ 3%-ზე მეტად გაუფასურდა. ოქტომბერში ლარი გაუფასურდა თითქმის ყველა ძირითადი პარტნიორი ქვეყნის ვალუტის – თურქული ლირას, რუსული რუბლის, აზერბაიჯანული მანათის, სომხურის დრამის და სხვა ვალუტების მიმართ.

საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო გაზრდილია

2018 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოს საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 124.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 20.8%-ით მეტია 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. საქონლის ექსპორტი 2 448.1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტმა 6 676.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

პირველი სამი კვარტლის მონაცემებით საქონლის ექსპორტი წლიურად 25.7%-ით არის გაზრდილი. მისი უდიდესი ნაწილი (47.4%) დსთ-ის ქვეყნებზე მოდის. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა კი წლიურად 13.2%-ით არის გაზრდილი და 533 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. სულ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გატანილი საქონელი მთლიანი ექსპორტის 21.8%-ია.


გრაფიკი 7: საქონლით საგარეო ვაჭრობა (მლნ. USD)



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (მლნ. USD)




ძირითად საექსპორტო საქონელს შორისაა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები, ლვინო, მსუბუქი ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები. ეს ხუთი სასაქონლო ჯგუფი მთლიანი ექსპორტის თითქმის ნახევარს შეადგენს.

2018 წლის პირველ სამ კვარტალში საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით 19.1%-ით არის გაზრდილი. უმსხვილესი სამი საიმპორტო საქონელია ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები და სპილენძის მადნები. აღნიშნულ პერიოდში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტმა 644 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს ექსპორტის ზრდის ტემპი იმპორტის ზრდის ტემპს აჭარბებს (იხ. გრაფიკი 7), ბრუნვის ზრდასთან ერთად ვაჭრობის უარყოფითი სალდოც იზრდება. პირველი სამი კვარტლის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით, უარყოფითი სალდო 15.5%-ით არის გაზრდილი და 4 229 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

გრაფიკი 9: საქონლით საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით (ათასი USD), I-III კვ. 2018 წელი*



▲ ცვლილება 2017 წლის პირველ სამ კვარტალთან შედარებით

* ნინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

2018 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოში 3.8 მილიონი ტურისტი შემოვიდა

2018 წლის პირველი ცხრა თვის მონაცემებით ქვეყანაში 6.8 მლნ-მდე საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა, რაც წინა წლის მონაცემებზე 16.6%-ით მეტია. ვიზიტორებიდან 56% ტურისტი¹ იყო. მესამე კვარტლის ბოლოს არსებული მდგომარეობით ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა 35.6%-ით არის გაზრდილი წლიურად და თითქმის 3.8 მლნ.-ს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (UNWTO) ტურისტების რაოდენობის ყველაზე სწრაფად მზარდ ქვეყნებს შორის საქართველო მეოთხე ადგილზე დასახელა².


საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი წლიურად 29%-ით არის გაზრდილი და 1 360 მლნ. აშშ დოლარს აღემატება. ხოლო ტურიზმის სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება მშპ-ის 6.1%-ს შეადგენს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კლებულობს

სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლიურმა კლებამ 27.1% შეადგინა, ხოლო მეორე კვარტალში 9.4%-ით გაიზარდა. სულ 2018 წლის პირველ ნახევარში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 9.8%-ით შემცირდა წლიურად და 676.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.


პირველ კვარტალში ინვესტიციების ასეთი მკვეთრი შემცირება უმეტესწილად უცხოელი ინვესტორების მიმართ სავალო ვალდებულებების შემცირებას უკავშირდება. თუმცა, სააქციო კაპიტალში ინვესტიციებმა იკლო საგრძნობლად, რასაც სტატისტიკის სამსახური სანარმოთა საქართველოს რეზიდენტების მფლობელობაში გადასვლით ხსნის. მთლიანობაში, წლის პირველ ნახევარში თითქმის 32.5%-ით არის შემცირებული ინვესტიციები სააქციო კაპიტალში, თუმცა რეინვესტიცია 22.5%-ით არის გაზრდილი.

გრაფიკი 10: საქართველოში შემომსვლელი საერთაშორისო ვიზიტორების განაწილება ქვეყნების მიხედვით. I-III კვ. 2018 წელი




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 11: საქართველოში შემომსვლელი საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის დინამიკა (ათასი კაცი)



* წინასწარი მონაცემები
წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 12: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით (მლნ. USD)




* წინასწარი მონაცემები
წყარო: საქსტატი

1 უცხოელი ვიზიტორები, რომლებიც ქვეყანაში 24 ან მეტ საათს რჩებიან.
2 World Tourism Organization (UNWTO). Tourism Highlights. 2018 edition.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად იკლო ინვესტიციებმა აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან და არაბეთის გაერთიანებული ემირატებიდან. ამავდროულად, მნიშვნელოვნად იმატა ინვესტიციებმა ჩეხეთიდან და გაერთიანებული სამეფოდან.


გრაფიკი 13: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორებში (მლნ. USD)




ფულადმა გზავნილებმა მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა

მიმდინარე წლის სამი კვარტლის ჯამური მონაცემებით უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების მოცულობამ 1 153 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16%-ით (159 მლნ. აშშ დოლარით) აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს. გზავნილებმა მნიშვნელოვნად იმატა ისეთი მსხვილი დონორი ქვეყნებიდან როგორცაა იტალია (+35.3%), ისრაელი (+34.3%), გერმანია (+25.5%) და სხვა. რუსეთი დონორ ქვეყნებს შორის ლიდერობს – მთლიანი გზავნილების თითქმის 30% რუსეთიდან არის გადმოგზავნილი. თუმცა, სამი კვარტლის მონაცემებით რუსეთიდან მიღებული გზავნილების წლიურმა ზრდამ მხოლოდ 1.3% შეადგინა.


გრაფიკი 15: ქვეყნების წილი მთლიან ფულად გზავნილებში, I-III კვ. 2018 წელი



გრაფიკი 14: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეკომპოზიცია (მლნ. USD)



გრაფიკი 16: მიღებული ფულადი გზავნილები (მლნ. USD)



2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განხილვის პროცესშია

საქართველოს მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი გათვლილია მთლიანი შიდა პროდუქტის 4.5%-იან რეალურ ზრდაზე.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შემოსულობები 12 611.7 მლნ. ლარია. ხოლო ასიგნებები 12 729.7 მლნ. ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის შემოსავლები 10 281.7 მლნ. ლარია, რაც 2018 წელთან შედარებით 32.6 მლნ. ლარით (3.2%) არის შემცირებული. ეს კლება გრანტებიდან მისაღები შემოსავლების შემცირებამ განაპირობა. პროექტის თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნის მთავრობებიდან მისაღები გრანტების მოცულობა მომდევნო წელს თითქმის 150 მლნ. ლარით (-35.6%) მცირდება და 267 მლნ. ლარს შეადგენს.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილია 9 565 მლნ. ლარი საგადასახადო შემოსავლების მიღება, რაც 75 მლნ. ლარით აღემატება 2018 წლის ბიუჯეტის გეგმას. ასევე დაგეგმილია 2 160 მლნ. ლარის ოდენობის სახსრების მოზიდვა ვალდებულებების ზრდის გზით.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან შედარებით, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში ხარჯებიც შემცირებულია 441.8 მლნ. ლარით და 9 279.1 მლნ. ლარს შეადგენს. ხარჯების 40% სოციალურ უზრუნველყოფაზეა გათვლილი, ხოლო 16% შრომის ანაზღაურებაა.

2019 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 1.8% იქნება. თუმცა ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციების გათვალისწინების შემთხვევაში დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში 2.6% იქნება³. ხოლო სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების გათვალისწინებით ეს უკანასკნელი მშპ-ის 2.8%-ს მიაღწევს.

3 პირველ შემთხვევაში ბიუჯეტის დეფიციტი გამოითვლება სსფ-ს სახელმძღვანელოს GFSM 2001 მიხედვით. ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის თანახმად ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებიც დეფიციტის ფორმირების წყაროდ ითვლება (GFSM 1986). წყარო: განმარტებითი ბარათი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

საქართველოს ეროვნული ბანკი. მიმდინარე მაკროეკონომიკური მიმოხილვა. სექტემბერი 2018

საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის ანგარიში. აგვისტო 2018

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ინფლაცია საქართველოში. სექტემბერი 2018

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში (წინასწარი შედეგები). იანვარი-სექტემბერი 2018

International Monetary Fund. World Economic Outlook: Challenges to Steady Growth. October 2018.